საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/606
29/01/2026

606-01-2-202601291246

ლუბა ხაჩატუროვას
მის: [illegible]
ტელ.: [illegible]

2025 წლის 02 ოქტომბერს №01/5881 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ატარებს შესაბამის ღონისძიებებს, მათ შორის:

- შეისწავლის მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა;
- საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება;
- უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ;
- იწვევს მხარეებს/დაინტერესებულ პირებს ახსნა-განმარტებების მისაღებად.

განცხადებასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ მოვაჭრისგან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან მიმართებით, რის საპასუხოდაც მოვაჭრემ წარმოადგინა პოზიცია და შესაბამისი ტექნიკური დასკვნა. გიგზავნით მოვაჭრის პოზიციასა და ტექნიკურ დასკვნებს და გთხოვთ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოთ დამატებითი მტკიცებულებები, (მაგალითად:. ალტერნატიული ტექნიკური დასკვნა/ექსპერტიზის დასკვნა) რაც დაადასტურებს ნივთის თავდაპირველ ნაკლს.

დანართი: 3 გვერდი.

პატივისცემით,

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი